

პროექტი - ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი)
ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე

2016 წლის მოკლე ანგარიში

სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და
დახმარების სახელმწიფო ფონდი

ქ.თბილისი, თამარაშვილის 15 ა

+ (995 32) 2 39 53 50

პანდაცვის რეაგირება
ოჯახში ძალადობაზე / გენდერულ ძალადობაზე

პანდაცვის სისტემის
რეაგირება ოჯახში
ძალადობაზე/
გენდერულ
ძალადობაზე



დრენინგები
ვირველადი
პანდაცვის
რგოლის
ეფექტურობის

პროექტი - ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე

2016 წლის მოკლე ანგარიში



სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით, 2016 წლის ივლისიდან, ხორციელდება პროექტი "ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე", რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის/გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესება ჯანდაცვის პერსონალის შესაბამისი მომზადების გზით. ჯანდაცვის პირველი და მეორეული რგოლის მუშაკებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ამაღლების პარალელურად, პროექტი მიზნად ისახავს ჯანდაცვის სექტორის ინსტიტუციონალურ განვითარებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი პასუხი ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე ქვეყანაში. პროექტი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის დეპარტამენტთან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან და კახეთის რეგიონსა და თბილისში არსებულ კლინიკებთან აქტიური თანამშრომლობით მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ჯანდაცვის პირველი და მეორეული რგოლის მუშაკებისათვის შემუშავდა „სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP) ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე“. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შემთხვევების ეფექტიან ამოცნობას, შეფასებას, ხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას,

ძალადობის დოკუმენტებისა და მტკიცებულებების შეგროვების კოორდინირების გაუმჯობესების ხელშეწყობას შემდგომი ღონისძიებების განხორციელებისთვის.

- სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებზე დაყრდნობით, **დოკუმენტების გასაუმჯობესებლად** შემუშავდა სპეციალური ფორმები. კერძოდ, მომზადდა ჩანართები სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების ბარათში (ფორმა NIV), ამბულატორიულ (ფორმა 41/5) და სტაციონარულ (ფორმა 108/5) ბარათებში.
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაუყოვნებლივ და ეფექტიანად მისაწოდებლად დაიწყო შესაბამისი **მექანიზმის გამართვაზე მუშაობა**, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს.
- სამედიცინო მუშაკების მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის ეფექტიანი გამოვლენისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით, **გადაიხედა და დაკორექტირდა ტრენინგ-მოდული** „ქალის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე“. დოკუმენტი ეყრდნობა გაეროს მოსახლეობის ფონდის რეგიონალური ოფისისა და ავსტრიული ორგანიზაციის, “ქალები ძალადობის წინააღმდეგ ევროპაში”, პარტნიორობის შედეგად შექმნილ მოდულს ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის საპასუხოდ ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების შესახებ.
- აღნიშნული სატრენინგო მოდულზე დაყრდნობით, 9-11 და 16-18 დეკემბერს, ჩატარდა ორდღიანი **ტრენინგ-კურსი** კახეთის რეგიონში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მედ-პერსონალისათვის. სულ დატრენინგდა 45 ექიმი და 2 ექთანი.
- 2016 წელს გრანტის მოცულობამ შეადგინა 30200 აშშ დოლარი. საკასო ხარჯმა - 69851,29 ლარი.